საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4765/01
25/05/2020

4765-01-2-202005251304

სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურს“

მის: ქ. ფოთი, აღმაშენებელის ქ. N52

2020 წლის 14 მაისს თქვენ მიერ წარმოდგენილ წერილთან N7213 დაკავშირებით, რომელიც ეხება ქ. ფოთში, ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური ნავსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს, გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშიდან ირკვევა, რომ სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგური“ გეგმავს ფოთის პორტის ჩრდილოეთისკენ გაფართოებას (ტერიტორიაზე, სადაც კომპანია ფლობს 100 ჰა მიწის ფართობს). აღსანიშნავია, რომ პორტის გაფართოება დაკავშირებულია ტვირთების გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან, ხოლო ახალი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ტვირთების საჭირო გამტარუნარიანობას.

სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიმდინარე საქმიანობაზე 2009 წელს 20 თებერვალს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N24, რომელიც მოიცავს ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმდინარე საქმიანობას. ამასთან 2019 წლის 14 თებერვალს, აღნიშნულ პროექტზე ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-140).

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ვინაიდან სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილია ფოთის საზღვაო ნავსადგურის არსებული საქმიანობის გაფართოების პროექტი, ხოლო სს კორპორაცია ,,ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმდინარე საქმიანობაზე ფლობს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია არსებული საქმიანობის გაფართოების შესახებ ახალი პროექტი სამინისტროში წარმოადგინოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, როგორც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის

საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნის შესაბამისად კორექტირებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. დამატებით გაცნობებთ, რომ განახლებული განცხადება დაგეგმილი საქმიანობის გარდა, საჭიროა მოიცავდეს ინფორმაციას ფოთის საზღვაო ნავსადგურის არსებული საქმიანობის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შესახებ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე